

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №123/ნ
2015 წლის 25 სექტემბერი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/ნ ბრძანებაში (ვებგვერდი, 110916018, 21.09.2011 წ., სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016191) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების“ მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებგავლილ იმ სტუდენტებს, რომლებმაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ჩაირიცხნენ ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და ვერ მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და 2012 წლის საშემოდგომო ან 2013 წლის საგაზაფხულო გაწვევისას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში თორმეტი თვის ვადით სამხედრო სავალდებულო სამსახურის საკუთარი სურვილით გავლის საფუძველზე მიენიჭათ სრული ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა შეევისოთ სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრულ ოდენობამდე, მიეცეთ სრული ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტის ან სრულ ოდენობამდე შევსებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გადატანის უფლება ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი

თამარ სანიკიძე

